პროექტი „გენდერი იწყება ჩემგან“

PROJECT "GENDER STARTS WITH ME"

ელექტრონული ბიულეტენი N1

NEWSLETTER N1

2016

ბიულეტენი მომზადებულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „გენდერი იწყება ჩემგან“ ფარგლებში

Federal Republic of Germany
Foreign Office

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN) საქართველოში გერმანიის საელჩოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით უკვე მეორედ ახორციელებს პროექტს „გენდერი იწყება ჩემგან" (Gender starts with me), რომლის პირველი ეტაპი შარშან წარმატებით დასრულდა სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. პროექტმა ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია და მისმა დადებითმა შედეგებმა გერმანიის საელჩოს მხარდაჭერა კვლავაც განაპირობა - პროექტი მიმდინარე წელსაც ხორციელდება - ამჯერად, ქვეყნის სხვა რეგიონებშიც.

2016 წლის 2 მარტს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელს (GAEN) გერმანიის ელჩის მოადგილე მონიკა ლენჰარდი ესტუმრა და ქსელის დირექტორთან ხატია ცირამუასთან ერთად პროექტის მეორე ეტაპის დაწყება გამოაცხადა. საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის წევრებთან შეხვედრაზე ქალბატონმა ელჩის მოადგილემ განაცხადა:

— „გერმანიის ფედერალური მთავრობა ღირებულებებზე დაფუძნებულ თავისი სა-

Adult Education Network (GAEN) with the financial support of the German Federal Foreign Office has been implementing the second phase of the project "Gender starts with me". The first stage of project was successfully completed in Samegrelo, Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli regions last year. The project arouse great interest and involvement of the local population and its positive results led to the continued support of the German Embassy in Georgia- in current year, the project activities are being expanded also in other regions.

On the 2nd of March 2016, Deputy Head of Mission of the German Embassy in Georgia, Mrs. Monika Lenhard visited the Georgian Adult Education Network (GAEN) and together with the director of the network, Khatia Tsiramua, announced the start of the second phase of the project:

— "The German Federal Government's

გარეო პოლიტიკის ფარგლებში მსოფლიოს მასშტაბით მხარს უჭერს უამრავ პროექტს, რომელიც ადამიანთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას ემსახურება. ქალთა უფლებების დაცვა და ოჯახური ძალადობა ჩვენთვის, ზოგადად, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თემაა, რომელიც საქართველოშიც ძალიან აქტუალურია. მოხარული ვართ, რომ წელსაც შეგვიძლია დავეხმაროთ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელს (GAEN) პროექტის „გენდერი იწყება ჩემგან" მეორე ეტაპის განხორციელებაში.

პროექტის სამიზნე რეგიონებში საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი და პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები ინოვატორული მიდგომებით ცდილობენ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლას და ქალთა უფლებების გაძლიერებას. შარშანდელმა წარმატებამ პროექტის სხვა რეგიონებში განხორციელების მოტივაცია გააჩინა და დღეს გვინდა, ქსელთან და პროექტის პოტენციურ პარტნიორებთან ერთად მისი მეორე ეტაპის დაწყება გამოვაცხადოთ. წარმატებებს ვუსურვებთ მათ ამ მართლაც მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში!".

foreign policy based on the values supports many projects around the globe that serves to promote human rights. Women's rights and domestic violence are, in general, one of the most interesting topics, which is very important for Georgia. We are pleased that this year we are able to support the Georgian Adult Education Network (GAEN) in the implementation of the second stage of the project "Gender Starts with Me".

In the project targeted regions, Georgian Adult Education Network with the partner organizations try innovative approaches to fight against domestic violence and to support the women's empowerment.

Last year's success of the project motivated us to extend the project in other regions and today together with the Network and other potential partners of the project we would like to announce its second phase. Good luck to them for the implementation of this truly important project! "- said Mrs. Monika Lenhard.

პროექტის შესახებ: პროექტი „გენდერი იწყება ჩემგან" გენდერული თანასწორობის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და ძალადობის პრევენციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ქალთა უფლებების დაცვასა და მათი სოციალური ჩართულობის გააქტიურებას ისახავს მიზნად. პროექტი ამჯერად კოდაში, ჯვარში, ჩოხატაურსა და ლელიანში ხორციელდება. საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის პარტნიორები არიან ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები: კოდის, ჯვარის, ჩოხატაურისა და ლელიანის ზრდასრულთა და სათემო განათლების ცენტრები.

პროექტის ძირითადი აქტივობებია: ქალთა კლუბები, ტრენინგები, მრგვალი მაგიდები, საჯარო შეხვედრები წარმატებულ ქალებთან; დოკუმენტური ფილმების ჩვენება, დისკუსიები გენდერისა და ოჯახური ძალადობის თემაზე, დისკუსიები აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე; ლექციების/ფილმების ჩვენება გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ქალების შესახებ; ფორუმ-თეატრი ბენეფიციართა მონაწილეობით, ფსიქოლოგისა და იურისტის უფასო კონსულტაციები და პროექტის შემაჯამებელი ფესტივალი - „გენდერი იწყება ჩემგან".

ABOUT THE PROJECT: The project "Gender Starts with Me" aims at raising public awareness on gender equality, protection of the rights of victims of domestic violence, domestic violence prevention and the importance of women's participation in social life. This time the project is being implemented in Koda, Jvari, Chokhatauri and Leliani. Partners of the Georgian Adult Education Network are the local community organizations: Koda, Jvari, Chokhatauri and Leliani Ault Education and Community Education Centers.

Main activities of the project are as follows: establishment of the the Women's Clubs, trainings, round tables, public meeting with the successful women; documentary film screening, discussions on gender equality and domestic violence topics, discussions on legal issues, lectures/film screenings about famous women public figures; Forum theatre with participation of the beneficiaries, free psychological and legal consultations, and the project final festival - "Gender Starts with Me".

ქალთა კლუბები. პროექტის ფარგლებში კოდის, ჯვარის, ჩოხატაურისა და ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრებში ქალთა კლუბები ჩამოყალიბდა ახალი ბენეფიციარებითა და ლიდერებით. ჯვარში კლუბის წევრები ამჯერად ფოცხო-ეწერის დევნილთა დასახლებიდან და აფხაზეთის საზღვრისპირა კონფლიქტური ზონის სოფლებიდან არიან, კოდაში - თეთრიწყაროდან და წინწყაროს დევნილთა დასახლებიდან, ხოლო ჩოხატაურსა და ლელიანში - ადგილობრივი თემებიდან, რადგან აქ პროექტი წელს პირველად ხორციელდება. კოდისა და ჯვარის ქალთა კლუბებში პროექტის მეორე ეტაპზე აქცენტი ახალი ბენეფიციარების ჩართვასა და მათთვის შექმნილ ტრენინგ-პროგრამებზე გაკეთდა. ოთხივე რეგიონში ქალთა კლუბები 80 ქალბატონს აერთიანებს, რომელთა ასაკი 18 წლიდან უხუცესობამდეა. ბენეფიციართა შესარჩევად ქსელმა სპეციალური ანკეტა შეადგინა, რომელიც პროექტში მონაწილეობის მსურველებმა შეავსეს და სამოტივაციო წერილში ახსნეს, თუ რატომ უნდოდათ მასში მონაწილეობა, რა მოლოდინები

THE WOMEN'S CLUBS. Within the framework of the project the Women's Clubs were established in Koda, Jvari, Chokhatauri and Leliani Centers. The Centers have new beneficiaries and leaders. Jvari Women's Club members this time are from Potskho-Etseri Internally Displaced Settlement and conflict zone villages bordering Abkhazia. In Koda the Women Club members are from Tetritskaro and Tsintskaro IDPs settlements, in Chokhatauri and Leliani- they are from the local communities, because the project is being implemented there for the first time. In Koda and Jvari Women's Clubs the second phase of the the project focuses on recruitment of the new beneficiaries and on the training programs designed for them.

All four of the women's clubs unite 80 women aged from 18 to the older. The network designed a special questionnaire for selection of the beneficiaries. The candidates answered the questions and explained in their motivation letters why

ჰქონდათ და როგორ აპირებდნენ პროექტში მიღებული ცოდნის თემის წევრებისთვის გაზიარებას. ეს იყო ბენეფიციართა შერჩევის პირველი ეტაპი, რომლის გადალახვის შემდეგ, მეორე ეტაპზე გასულ ბენეფიციარებს გასაუბრება ჩაუტარდათ. ამგვარად, ძალიან მოტივირებული კანდიდატები შეირჩა და აქტიური შემადგენლობის კლუბებიც ჩამოყალიბდა. ყველა კლუბს თავისი ლიდერი ჰყავს, რომლებიც საკუთარ თემებში პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს გაუწევენ კოორდინაციას. მათ ჩაუტარდათ ტრენინგები ლიდერობის თემაზე, ასევე - ვორქშოპები და სამუშაო შეხვედრები, რომლებზეც ლიდერებმა სამუშაო გეგმა შეადგინეს, დაისახა მათი კონკრეტული სამუშაო და მისი განხორციელების გზები.

they desired to participate in the project, what were their expectations, how they were going to share acquired knowledge with others in their community. This was the first stage of selection process of the beneficiaries; those who successfully passed it were interviewed in the second stage. Thus, the most motivated candidates were selected and the clubs were formed of the active members. Each club has its leader, who will have coordinated project activities in their own communities. They were trained on leadership, also workshops and working meetings were held for them, during which their specific work and its implementation methods were outlined.

შემდეგ ეტაპზე კი პროექტის ოთხივე ლოკაციაში ტრენინგები ჩატარდა ოჯახში ძალადობისა და ქალთა უფლებების შესახებ, რომელსაც სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები უძღვებოდნენ: გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ეკატერინე სხილაძემ, თავის კოლეგებთან ერთად, ტრენინგის მონაწილეებს ტრენინგ-პროგრამა წარუდგინა ქალთა უფლებების, ოჯახში ძალადობის და ადრეული ქორწინების თემებზე, ასევე - ქალების როლზე მშვიდობის მშენებლობის საკითხში.

ტრენინგებმა ოთხივე თემში ბენეფიციართა დიდი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია და წარმატებით ჩაიარა ყველგან. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა შემდგომი გამოყენებისთვის მათ მნიშვნელოვანი ინფორმაციული მასალებიც გადასცეს. ეს ადამიანები საუკეთესო ექსპერტები არიან გენდერის საკითხებში, სწორედ ისინი იკვლევენ და ქმნიან იმ პოლიტიკურ დოკუმენტებს, რომელთაც სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშებში ეყრდნობა. ასეთი სანდო პირველწყაროსაგან მიღებული ინფორმაცია და ტრენინგ-პროგრამები კი მართლაც მაღალი სტანდარტისა და ხარისხის მიმანიშნებელია.

On the next stage of the project in all four locations the trainings on domestic violence and women's rights, were conducted by the employees of the Public Defender's Office (PDO). Head of the Gender Equality Department Ekaterine Skhiladze, together with her colleagues presented a special training program on women's rights, domestic violence and early marriage, as well - the role of women in peace-building issues. The trainings were successful, the interest and involvement of the beneficiaries were high in all four communities.The Public Defender's Office representatives handed over to the Women's Clubs the important informational materials for further use.These people are the best experts in gender issues, they explore and prepare the annual reports on gender issues for the Public Defender Office. The information received from such a reliable source and their training-programs are the indicators of high standard and quality.

ქალთა კლუბების ლიდერები საკუთარ თემებში. ტრენინგებზე მიღებული ცოდნა და უნარები ქალთა კლუბების ლიდერებმა შემდეგ საკუთარ თემებში გაუზიარეს ბენეფიციარებს. კლუბის წევრების მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ გვესაუბრებიან სათემო განათლების ადგილობრივი ცენტრების წარმომადგენლები:

მაია ჭანტურია, ჯვარის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ხელმძღვანელი:

— „ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას სახელობის ქალთა კლუბის ლიდერებმა თავიანთ თემებში მუშაობა ივლისის თვიდან დაიწყეს. ამ ეტაპზე მათ ჯვარსა და მუჟავაში ჩაატარეს ტრენინგები და ფორუმ-თეატრის ჩვენებები ოჯახში ძალადობის თემაზე. მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტი თემი და ბენეფიციარი მოიცვან, რათა თავიანთი ცოდნა გაუზიარონ. ამიტომ სხვადასხვა თემებთან შეხვედრები კვლავაც გრძელდება და პროექტის ბოლომდე გასტანს. აქვე, ორიოდე სიტყვით, თავად ლიდერი ქალების განვითარების საკითხსაც შევეხები. მათ პირველად ჩაატარეს ტრენინგები, რასაც, ბუნებრივია, თან ახლდა ღელვა, თუმცა საოცრად მონდომებულები და მოტივირებულები იყვნენ. ლიდერები დამაჯერებლად უხსნიდნენ ბენეფიციარებს კონკრეტულ საკითხებს და ურჩევდნენ, რომ მთავარია, ძალადობის არსებობის შემთხვევაში არ დამალონ იგი, ხმამაღლა ისაუბრონ ყველა კონკრეტულ ფაქტზე, გააძლიერონ მსხვერპლი და დაანახონ მას, რომ მარტო არ არის. ასეთი შეხვედრები და საუბრები აუცილებლად გამოიღებს სათანადო შედეგს და ამ მტკივნეული პრობლემებისადმი და-

WOMEN'S CLUB LEADERS IN THEIR COMMUNITIES. Women's club leaders later shared the acquired knowledge and skills with the beneficiaries in their communities. The representatives of the local community education centers are talking to us:

Maia Chanturia, head of the Jvari Community Education Center:

— Leaders of Anastasia Eristavi-Khoshtaria Women's Club started activities in their communities in July. By now they have conducted trainings and forum-theatre performances on domestic violence in Jvari and Muzhava. Their aim is to reach out to as many communities and beneficiaries as possible to share their knowledge. Therefore, the meetings with various communities are going on and they will continue till the end of the project. I also want to describe in a few words development of the women leaders. They have conducted training sessions for the first time, which, naturally, was accompanied by anxiety; however, they were surprisingly determined and motivated. Leaders confidently explaining to beneficiaries specific issues and advised them that the most important thing is, not to hide violence, speak publicly about all cases, empower the victims and make them feel that they

მოკიდებულებაც საგრძნობლად და სასიკეთოდ შეიცვლება თემებში.

სესილი მეგრელიშვილი, ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ქალთა კლუბის ლიდერი:

— "პროექტის „გენდერი იწყება ჩემგან" ფარგლებში ჩოხატურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში ცნობილი ქართველი უფლებადამცველი ქალის, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძის სახელობის ქალთა კლუბი შეიქმნა, რომელსაც დღეისათვის 20 მუდმივი წევრი ჰყავს. მონაწილეების შერჩევა სააპლიკაციო ფორმების საშუალებით მოხდა. შერჩეულმა წევრებმა პროექტის პირველ ფაზაში ტრენინგ-პროგრამები გაიარეს თემებზე: „ტრენერთა ტრენინგი" (TOT), „კონფლიქტის პრევენცია და ლიდერობა", „ეფექტური კომუნიკაცია" და ასევე გადამზადდნენ ფორუმ-თეატრის მოწყობის მეთოდოლოგიაში. პროექტის ფარგლებში კლუბის წევრებმა სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ტრენინგებიც გაიარეს გენდერული სტერეოტიპებისა და თანასწორობის, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინების, მშვიდობის მშენებლობაში ქალთა როლისა და ქალთა საკითხებზე წარმოებული მედია კამპანიების შესახებ. პროექტში ჩართული არიან გამოცდილი ფსიქოლოგი და იურისტი, რომლებიც თვეში ორჯერ ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს უწევენ პროექტის მონაწილეებს.

ტრენინგ-კურსებზე მიღებული ცოდნის საფუძველზე ქალთა კლუბის წევრები თვეში ერთხელ საჯარო შეხვედრებსა და დისკუსიებს აწყობენ საზოგადოების ცნობილ წევრებთან, საინტერესო ადამიანებთან, ასევე ატარებენ ტრენინგებს - ეფექტური კომუნიკაციის, ლიდერობის, გუნდური მუშაობის, კონფლიქტის პრევენციის თემებზე და ფორუმ-თეატრის პერფორმანსებს მართავენ პროექტის მონაწილეებისთვის, ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

are not alone. These meetings and conversations will bring positive result - the attitude to these painful problems will change significantly.

Sesili Megrelishvili, the Women's Club leader of Chokhatauri Adult Education Center:

— "Within the framework of the project "Gender Starts with Me" the Women's Club, named after Georgian human rights defender woman Barbare Eristavi-Jorjadze, was established. Today the Club has 20 permanent members. The members were selected according to their applications forms. The selected members in the first phase of the project passed through the following trainings: "Training of trainers"(TOT), "Conflict prevention and leadership", they also were trained in the Forum theater methodology. Within the framework of the project, the project participants also passed through the Public Defender's Office training courses on gender stereotypes and equality, domestic violence against women, early marriage, women's role in peace-building and media campaigns on women's issues. An experienced psychologist and a lawyer are involved in the project. Twice a month they offer individual and group consultations to the project participants.

On the basis of acquired knowledge, the women's club members once a month organize public meetings and discussions with the famous public figures, interesting people; They also conduct trainings on effective communication, leadership, teamwork, conflict prevention and arrange Forum-theatre performances for the project participants and for the locals.

მამაკაცების ჩართულობა პროექტში „გენდერი იწყება ჩემგან".

ყველაზე დიდი გამოწვევა პროექტში იყო მამაკაცების ჩართულობის საკითხი, რომელიც შარშან გადაუჭრელ პრობლემად დარჩა. წელს, ბენეფიციართა შერჩევის ეტაპზე, აპლიკაციები მამაკაცებისაგან, ფაქტობრივად, არ შემოსულა, ამიტომ პროექტის ორგანიზატორებმა აქტიურად დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ ჩაერთოთ მამაკაცები პროექტში.

— მოგეხსენებათ, გენდერისა და ოჯახური ძალადობის პრობლემების აღმოფხვრა საზოგადოებაში, ამ მიმართულებით მამაკაცთა ცნობიერების ამაღლების გარეშე შეუძლებელია, — ამბობს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი ხატია ცირამუა, - არადა, ისინი წელსაც უარს აცხადებდნენ პროექტის ღონისძიებებში მონაწილეობაზე, ამიტომ ქალთა კლუბების ლიდერებთან ერთად ვიმსჯელეთ და დავსახეთ ღონისძიებები, თუ როგორ დაგვეინტერესებინა და ჩაგვერთო მამაკაცები პროექტში.

რამდენიმე კონკრეტულ ღონისძიებაზე ჩამოვყალიბდით, რომელთა განხორციელებამ შედეგი მართლაც გამოიღო. მაგალითად, ქალთა კლუბებმა თავიანთ თემებში მოაწყვეს პიკნიკები, რომლებზეც თითოეულმა ქალმა თავისი ოჯახიდან ერთი მამაკაცი წამოიყვანა და ამ პიკნიკებზე გაიმართა საუბრები ქალთა უფლებების, ოჯახში ძალადობის და ა. შ. შესახებ.

არაფორმალურ და გახსნილ გარემოში გულახდილ საუბრებში მამაკაცები აქ-

MEN'S INVOLVEMENT IN THE PROJECT GENDER STARTS WITH ME".

The biggest challenge in the project was involvement of the men, which remained a problem last year. This year, during the selection of beneficiaries, applications from men, in fact, has not been received; therefore, the project organizers were actively thinking about how to involve the men in the project.

As you know, it is impossible to solve gender and domestic violence problems in a society without the awareness of men — says Khatia Tsiramua, the GAEN director,- but they refused to participate in the project activities. Therefore, along with the leaders of the Women's Clubs we discussed and planned measures, how to raise men's interest in the project and how to engage them.

We have agreed on a number of specific activities, implementation of which was a success. For example, women's clubs organized picnics in their communities, to which each woman took one men from her family and during these picnics they held discussions on women's rights, domestic violence and etc.

ტიურად ჩაერთნენ და კლუბის წევრებმა დაარწმუნეს ისინი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ პრობლემების გადაწყვეტაში მამაკაცების მონაწილეობა. პიკნიკის მონაწილე მამაკაცებმა შემდეგ პროექტის სხვა ღონისძიებებზეც დაიწყეს სიარული და მერე მათ თემის სხვა მამაკაცებიც მოჰყვნენ. ყველა კლუბში გაიმართა შეხვედრები სახელწოდებით „ჩემი მეორე ნახევარი", რომელშიც მამაკაცები გულახდილად და აქტიურად ჩაერთნენ და ეს შეხვედრებიც საკმაოდ ემოციურად წარიმართა. კლუბებში შეხვედრები მოეწყო ასევე წარმატებულ ქალებსა და მამაკაცებთან - იმ მამაკაცებთან, რომლებიც სანიმუშოები არიან ოჯახში, ქალისადმი დამოკიდებულებაში - და მათ საკუთარი ხედვები და პოზიცია დააფიქსირეს აღნიშნულ საკითხებზე. წარმატებული მამაკაცების გამოჩენა სტიმული გახდა სხვათათვის, რათა კიდევ უფრო მეტი მამაკაცი დასწრებოდა კლუბების შეხვედრებს და ღირსეულთა მაგალითები გაეზიარებინათ. ასე, რომ დღეს მამაკაცები უკვე აქტიურად მონაწილეობენ პროექტში, რაც ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია და გააუმჯობესებს მის შედეგებს.

In such informal and open atmosphere the men actively got involved in frank conversations. Women's Club members convinced them of the importance of men's participation in resolving these problems. Later the picnic participant men started to attend various activities of the project and other men of the community followed them.

All Women's Clubs held meetings under the name of " My Second Half ", in which men involved openly, actively and these were quite emotional meetings. The Clubs held meeting with the successful women and those men who have exemplary behavior towards women and other members of their family. They expressed their views and positions on gender equality issues. Successful men models became an incentive to others to involve as many men as possible in the club meetings and to share examples of the decent behavior.

გერმანიის საელჩოს სტუმრობა ჯვარსა და ჩოხატაურში. ცოტა ხნის წინათ ჯვარისა და ჩოხატაურის ქალთა კლუბები გერმანიის საელჩოს წარმომადგენლებმა კრისტოფერ ფრონზეკმა და თეა ვარდოსანიძემ მოინახულეს. ისინი ადგილზე გაეცნენ კლუბების მუშაობის პროცესს, გეგმებს, გაესაუბრნენ ბენეფიციარებს, მოისმინეს მათი აზრები, ინტერესი, სურვილები და მომავლის გეგმებსაც შეეხნენ ოჯახში ძალადობისა და ქალთა უფლებების კუთხით. სტუმარ-მასპინძელს შორის თბილი და გულახდილი საუბრები შედგა, რაზეც გერმანიის საელჩოს წარმომადგენლებმა კმაყოფილება გამოთქვეს. მათი სტუმრობისას გაკეთდა პროექტის მიმდინარეობის შუალედური მონიტორინგიც და დონორმა პროექტის მიმდინარეობა დადებითად შეაფასა.

VISIT OF THE GERMAN EMBASSY TO JVARI AND CHOKHATAURI. Recently, representatives of the German Embassy Mr. Christopher Fronzec and Ms. Thea Vardosanidze visited Jvari and Chokhatauri Women's Clubs. They got acquainted with the work of the Clubs, plans and talked with the beneficiaries, listened to their opinions, interests, wishes and plans for the future concerning domestic violence and women's rights. Between guests and hosts there was a warm and sincere conversation. The German Embassy representatives expressed their satisfaction. During the visit the mid-term monitoring of the progress of the project was made as well. The donor clearly assessed the project positively.